პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგი

„აქტიური სწავლება საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით“

4-9 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორმა თამარ კუპრეიშვილმა (სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში ჩაატარა ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგ კურსი „აქტიური სწავლება საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით“. თამარ კუპრეიშვილმა შესაბამისი გადამზადება (ტრენერთა ტრეინინგები - TOT) გაიარა პროექტის კონსორციუმის წევრ პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტში, კერძოდ, ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტში (ბელგია), 2018 წლის ნოემბერში.

TPACK-ის პრეზენტაცია

ტრეინინგი მიზნად ისახავდა სტუ-ში ინოვაციური პედაგოგიკის ელემენტების პოპულარიზაციასა და განვითარებას და ამგვარად, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის დამატებითი შესაძლებლობების შეთავაზებას.



ADDIE მოდელის, განვითარების ფაზის განხილვა

ხუთდღიანი ტრეინინგი ინოვაციურ სწავლებაში ითვალისწინებდა 10 საათს: 5 დღის განმავლობაში დღეში 2-2 სთ და 20 სთ ინდივიდუალური სამუშაო (1 ECTS კრედიტი).

ტრეინინგს ესწრებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 4 სხვადასხვა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები (სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი; ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი).

ტრეინინგის მონაწილეებმა შეისწავლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საკლასო აქტივობების შექმნა, გაეცნენ TPACK და ADDIE მოდელებს, Google Forms, რეაგირების სისტემებს (Mentimeter) სტუდენტების გააქტიურების მიზნით.


Mentimeter-ზე მუშაობა


საბოლოო პრეზენტაციისათვის მზადება

ტრეინინგში აქტიურად ჩართულმა პროპფესორ-მასწავლებლემა კურსის დასასრულს შეაფასეს კურსი.

მასავლებელთა ტრეინინგის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.